კვირა, 7 მაისი 1917 წ.

რედაქციის მისამართი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კპ.

ეშეკელ

№ 19

მ ა თ რ ა ხ ი 1917

შინაარსი. პატარა ფელეტონი—**მორიელი.** თათბირი—**ეშმაკი.** კუდა ხარს—**ი. ტოფაძე.** კომისართან—**კოლო.** არაჩვეულებრივი პროფესია—**თარაშ.** შარადა—**კახი.** თხოვნა—**ძაფია.** სადღეისო კუპლეტები—**კირკა.** პარტიული იმიტაცია—**ბურული ბიჭი.** რა დღე, დამიდგა—**ხვახტუნოვი.** მოწყალეო ხელმწიფეო—ფოსტა—**ე—კი.**

კარიკატურები. უმაღლესი მთავარ-სარდალი. „ციდუმალი ხმა. უზრუნველყოფა. ერთი მათგანი.

უმაღლესი მთავარ-სარდალი



მეგობრებო! წინ, წინ წამოდექით! თქვენი უმანკო სისხლის მსმელი ვიყო, თუ თქვენთან ერთად შეც არ დავიღუპო.

ბატარა ფელეტონი

თეთრი მინდორი

ეს ამბავი სწორეთ ერთი წლის წინათ, შარშან აძ დროს, მოხდა.

როდესაც რედაქცია ელირსა „ეშმაკის მათრახის“ მეცხრამეტე ნომრის მიღებას*), ყველა რაღაც მოულოდნელმა საშიშროებამ შეიპყრო. მართალია, სარედაქციო შტაბი უკვე მზათ იყო მოწინააღმდეგეთა თავდასხმის მოსაგერებლათ, მაგრამ ყოველ კვირეულ ბრძოლის შედეგს მაინც გამოურკვეველის შიშით მოელოდა.

— ამხანაგებო! გაარღვიეს ფრონტის მოწინავე ხაზი!..

მრავალ მნიშვნელოვანად იტყოდა ხოლმე მთავარ-სარდალი ჩვენი რაზმისა, როცა მოწინავე წერილში შიგა და შიგ თეთრ უჯრედებს ნახავდა.

— არა უშავს რა, ზარალი მაინცა და მაინც დიდი არ არის,—შენიშნავდა რომელიმე წევრი რედაქციისა,—მადლობა ჯოჯოხეთს, რომ სრულად ვერ დაიპყრო მოწინავე ხაზი. ამ შემთხვევაში ადვილია დანაკლისის შევსება სათადარიგო რაზმიდან.

ჩვენ ბრაზსა გვგვრიდა უმთავრესად ის გარემოება, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე წითელი კარანდაშით იყო შეიარაღებული, როცა ეს ფერი სრულიად არ შეესაბამებოდა მის მსფოლმხედველობას. ჩვენ შეგვეძლო მისი მოგერიებაც და სტრატეგიულ ბრძოლებში მისი ყინულზე გაცურება და შერცხვენაც, მაგრამ წაგებული ზარალი მას ბრძოლის შემდეგაც შეეძლო მოკავშირეების საშვალებით აენაზღაურებია. ასეთი უთანასწორო ბრძოლა გვიხდებოდა კვირიდან-კვირემდე და ამიტომ გასაკვირიც არ არის, თუ რისთვის მოველოდით შიშითა და გულის ფანცქალით ბრძოლის შედეგებს.

ასე იყო შარშან დღეის სწორსაც.

— აუღიათ!

— აუღიათ? რას ამბობ ბატონო?

— მტრის ხელს აუღია მთელი მოწინავე რიგი ჩვენი სანგრებისა!—წარმოსთქვა განსაცვიფრებელის სიდინჯით ბ-ნმა ეშმაკმა.

ჩვენ ცნობის მოყვარეობით დავაცქერდით ბრძოლის ველს, რომელიც გადაჭიმული იყო ჟურნალის ფრონტის მეორე, მესამე და მეოთხე სექტორებზე. ჩვენს წინაშე თვალუწვდენელი თეთრი მინდორი გადაიშალა.

იქ, სადაც ასეთი საშიშარი ბრძოლა, ასეთი ძალმომრეობა და მტარვალური თავდასხმა მოხდა; იქ, სადაც ათასმა და ათი-ათასმა მართალმა სიტყვამ დასდო თავი, იქ, სადაც სამკვდრო-სასიცოცხლოთ შეებრძოლა სიმართლე ბოროტებას, მხოლოდ **თეთრი მინდორი** დარჩა, მხოლოდ თეთრი მინდორი და სხვა არაფერი!

ბ-ნმა ეშმაკმა შენიშნა ჩვენი უზომო მწუხარება სასტიკი დამარცხებით გამოწვეული, შედგა საწერ მაგიდაზე და ცხარე სიტყვა წარმოსთქვა, რომლის მრავალ მნიშვნელოვანი დასასრული არ შემიძლია აქ არ მოვიყვანო:

— ამხანაგებო! ძირს ცრემლები! ჩვენ, რომლებსაც გულზე გვაწერია ძვირფასი მასწავლებლის სოლომონ ზურგიელიძის სიტყვები:

ხან ის იმარჯვებს, ხან ესა,
ბუნების არის წესიო,
თავისუფლება რომ მოვა,
ცენზორსაც ბოლო მოელვის“

არ შეგვფერის გულის გატეხა და წუწუნი. სამას სამოცჯერაც ვერ მოასწრებს მამალი დაყივლებას, ვიდრე საათი ჩვენი გამარჯვებისა დაჰკრავს. გამხნევდით!“

და აი, დღეს, შარშანდელი სასტიკი ბრძოლის წლისთავზე ჩვენი მოწინაეე ფრონტი კვლავ აღსდგა. თქვენ შეგიძლიათ დააფასოთ მტრის ვერაგობა, რომელმაც პირწმინდათ გაანადგურა ეგზომ გამაგრებული საფარი.

მორიელი.

*) შემცდარია საზოგადოებაში გავრცელებული აზრი, თითქო „განათლების“ კანტორა მარტო ხელის მოაწერლებს უგზავნებდეს და აკლებდეს ჟურნალ-გაზეთებს. დიახ, ეს შეცდომა და ტილისწამებაა. ჩვენ შეგვიძლია დავამოწმოთ, რომ აღნიშნული კანტორა ასევე ეუფლობა ჩვენს რედაქციასაც.

თათბირი

(ძველი არაკი)

ვინ იფიქრებდა, თუ შარშან ამ დროს ტრაღიკული სიკვდილით განსვენებული მოხა ეშმაკისა „თათბირი“ ეგზომ ადრე ადსდგებოდა მკვდრეთით? არაგინ.

მაგრამ რას იზამთ, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ტყვიათ ხომ არ უთქვამს ბრძენს:

„ბედისა ჩარხი ტრიალებს,
ტრიალებს გამალებული
წინანი უკან რჩებიან
უკანანი კი წინ მიდიან“.

ს. **ზურგიელიძე.**

ბევრი ამბის მოწამე ვარ...
ალბათ ბევრსაც
მოვესწრობი.
(თუ „გაბრიელ“ არ მეწვია
ის, სიცოცხლე გასაქრობი).
მაგრამ ერთხელ რომ ვიხილე
მე ამბავი
გასაკვირი,
სხვას, მის მაგვარს
ვერსად ნახავთ,
თუნდ შემოვლოთ ქვეყნის პირი.
ტყეში გახლდათ მოქმედება,
იქ, (მხეცების სამეფოში)
სათათბიროთ
შეყრილიყვენ,
ასტეხოდათ სიტყვის ხოში.

—

თავმჯდომარეთ დათვი იჯდა
ბანჯგვლიანი,
მყრალ-უხეში.
მტვრევასა და დატორვაში
სიყრმის დღიდან
დანაგეში.

იჯდა, როგორც ეკადრება
იმა უბნის
ტყის მბრძანებელს
და ალერსით ულიმოდა
თანაშემწეთ
მდგომარე მგელს.
მგელი იგი,
რუხი მგელი,
კბილ ნაკვეთი ალმასისა,
გულ მრისხანე
მოურავი
უბედური იმა ტყისა,
თვალს მსუნაგათ აცეცებდა
შურიანს და
ცეცხლთა მფრქვეველს,
თითქო სპვრეტდა მის გარშემო
ამ ქვეყნიურ
სასუფეველს.
მდივნათ იჯდა მელა-კუდა,
ის მოქნილი
იფნის ტოტი,
ანგელოზის სახეს ჰქმნიდა
მატყუარა,
გულ-ბოროტი.
მოხდენილი კუდის ქნევა
და ღიმილი
(თაფლის წყარო)
ცხადად ჰყოფდა,
რომ ქვეშ-ქვეშას
წამი ედგა სანეტარო.
იქვე ისხდენ სხვა მხეცებიც:
ტურა,
მაჩვი,
თუ აფთარი,
(ვისაც ტყეში სანავარდოთ
უბანი აქვს საკუთარი!)
აქ ნახავდით უკლებისათ
ნადირს ტყისას
თითქმის ყოველს,
მაგრამ ცენზით: **მარტოოდენ**
ხორცის მჭამელს,
სისხლის მწოველს.

—

ტყე ულრანი გუგუნებდა
გაზაფხულის

ტკბილი ღიმით,
მზის ვარაყით განაფერი
განბანილი
ნელის წვიმით.
შორს-კი, სადღაც ცის კიდურზე,
მთას ღრუბელთა
ედგა თექა,
და ხანდასმით, იმ ღრუბლებში
გაისმოდა
გრგვინვა, ჭექა.
გამოჭკრთოდა იმ ქუხილში
შორი რისხვა,
შორი ზარი,
თითქო ბრძოლად გასულიყოს
ანგელოზთ და
ეშმაკთ ჯარი.
და ამრიგათ განწყობილი
გული ტყის და
ცისა პირი
იყო სახე საკონტრასტო,
სად ხდებოდის
ის თათბირი.

—

აღსდგა დინჯათ დათუნია,
მჭევრ-მეტყველი
ლაღი, სრული
„ცხოვართა შავბედისაგან
უზომოთ გულ
გაბასრული“,
და წარმოსთქვა მტკიცეთ, დინჯათ,
დათვურ რიხით,
გაბედულათ:
— ბატონებო!
არ შეგვშვენის
ჩვენ ცხოვრება ადრინდულათ!
ცხოვართა მწარ უბედობა
აღონებს თვით
ტყეთა მეფეს,
და გვავალებს მომავლისთვის
სანოვაგეთ
სიიეფეს“.
მქუხარე „ტაშ“ — „ურა“ იყო
ამა სიტყვის
მუნ პასუხად.
(ხმა და თათნი არ დაზოგეს
ყურთა სმენის შესაწუხად).

—

განეშორა თავმჯდომარე.
მგელსა დარჩა
კრება იგი,
და რამეთუ მისი იყო
საპროგრამო
სიტყვის რიგი,
წამოიჭრა, ვითა შლეგი,
ალმასოვან
კბილთა ღრჭენით,
და დაიწყო ნამდვილ მგლური
უხეში და
მკვახე ენით:
— რომ მიზანი არ იცოდეს
დღევანდელი
კრებულების,
მე თქვენ შორის ეგზომ ბრიყვი
არავინ არ
მეგულების.
ჩვენ ცხოვართა გასაჭირმა
მოგვაშორა
ოჯახს, კერას,
და წამალიც უნდა დავსდოთ
დღეს მათ ტანჯულ
ბედისწერას.
ვინც რა იცის ამ საგანზე
აქ აშკარათ
აღიაროს,
რომ თათბირმა უწინდულა
უქმათ აღარ
ჩაგვიაროს.
ბატონ მელას ვაძლევ სიტყვას“.

—

მელა ადგა
(კუდის ქნევით)
ცალი თვალი ქვესკნელში აქვს,
ცალიც აღუპყრია ზევით.
იგრიხება როგორც თასმა,
როგორც შოლტი,
როგორც ღვედი,
(იმან უნდა გადასწყვიტოს
ჩჩვილ, უმანკო
კრავთა ბედი!)

ენით ბაგეს მოილოკავს
ნაზათ არხევს
კუდს ბეწვიანს...
(ვინ იფიქრებს, თუ ის გულში
განიტარებს
ვისმე ზიანს?!!)
გადაჰხედა იქა მყოფელთ
ნაზი ხედვით,
ტკბილ-გზნეულით
და დაიწყო „მოხსენება“
ხმით მომხიბლავ
მილეულით:

—

— სხივი მზისა გაგვიგრილდა,
და გაუკრთა
სახე მთვარეს,
გაიცარცვა მთა და ბარი
რძე გაუშრა
მთის მდინარეს.
დასჭკნა მდელო, მინდვრის ბალახს
ველარ აძლევს
მიწა საკვებს,
ყვავილსა და ხავერდის მოლს
ის აწ ჩვენ ვერ
დაგვანახვებს.
და ცხოველთა გასაჭირიც
დღეს ენით არ
გამოითქმის:
გაძვალტყავდენ,
გადაგვარდენ,
და მოისპენ სრულად თითქმის.
ჩვენ ვალად გვძევს, ბატონებო,
მოვიგონოთ
ქრისტეს მცნება,
„მოყვასთათვის თავდადებას“
რაიც ნათლად გვეუბნება.
გამოვნახოთ საძოვარი
ცხოვართა მათ
გასაშვებათ...
ნუ თუ ხოცი არ გჭირიათ
ჯალაბობის
გასაკვებათ??
თვით ბნელია, ხალხი იგი,
უსწავლელი,
ყრუ, უენო,
და სამართალს ითხოვს ჩვენგან
მოწყალენო ხელმწიფენო.
მაგრამ, რადგან კრება ჩვენი,
კრება ესდენ
რიცხვ მრავალი,
ვერ გაიგებს, საით მიდის
კითხვის ასავ-დასავალი.
უმჯობესად მიმაჩნია
დავნაწილდეთ
მცირე ჯგუფათ
და გულდასმით განვიხილოთ
რაიც თითოს
გვხვდეს ულუფათ“.

დაუჯერეს მელა-კუდას
და დაიყვენ
კომისიად,
რომ განსაჯონ: „ხორცი ცხვრისა“
ნაღდათ სჭამონ თუ ნისიად.

ეშმაკი.



კუდა ხარს.

(კ. მაყაშვილის საყურადღებოთ).

კუდა ხარო! ჯერ გაწამეს,
ახლა კი ნიშნს გიგებენ!..
ათასნაირ ჭორს გითხზავენ—
ჭკვაზე გარიგებენ!
შენ ხომ გახსოვს, მრავალ ტანჯულს,
იმ ქოფაკის ძალა?
შენს ნაშრომზე რომ ლხინობდა,
კუდიც მოგათალა.
და როს იმას ხელთ დასძვერი,
ნახე შენი ბინა,
მაშინ შენი ბატონის გულს
ჭმუნვა მოებჯინა.
დღეს ცილს გწამებს: „ნესტანს წუნობს“,
ეტრფის სხვის „მედუზებს!“
მას თვითონ სურს თაფლის ლოკვა,
შენსკენ უქშევს ბუზებს.
ხალიჩებში „ნესტანს“ დასვამს,
გიტყუილებს ახლო;
ქედს დაგადებს რკინის უღელს,
გეტყვის: „გასწი ძაღლო!“
რა გაქვს მასთან შენ საერთო?!
შენ, საბრალო კუდას,
ვინც „ნესტანის“ სახელითა,
ვაჭრობს, სულს გიხუთავს?
შენ ყოველთვის მასთან მიდი,
ვინც გიგერებს ბუზებს...
მოიკრიბეთ ყველამ ძალა
და ებრძოლეთ ტუზებს!..

ირ. ტოფაძე.

კომისარი

დიდძალი საქმე აქვთ
დღეს კომისარებსა:
თავი რო გაართვან
მუშებს და ჯარებსა.
მათ უნდა უწამლონ
სიძვირეს, შიმშილსა
არაგვის ერისთავს
დიმ. ჭიაბრიშვილსა.

———

ეშმაკთან მოდიან
ურიცხვი პირები,
რომ უთხრან თავისი
მას გასაჭირები.

დურგალი.

ბატონო კომისარ!
ძვირფასო ნათლია!
მიშველე როგორმე:
ლურსმანი მაკლია!..

ეშმაკი.

თუ გოჯზე მცირეა
იმისი სიდიდე,
წა პირველ ფურნეში
და პური იყიდე.

მეჩექმე.

ძვირფასო კომისარ!
გამიცვდა წაღები...
ტყავი მსურს ვიშოვნო
მე გასასაღები.

ეშმაკი.

შენ უნდა აი იმ
ფურნეში მიხვიდე.
იქ პური ექნებათ,
ის პური იყიდე.

მეგალე.

კომისარ, გეთაყვა
მთელ ბაზარს ჩავყევი,
„მაჩალკა“ ვერ ვნახე
მე ვაზის სახვევი.

ეშმაკი.

თუ დღესვე გჭირია
დრო დასაშურია,
მიდი იმ ფურნეში
იყიდე პურია.

მეთუნუძე.

გაძვირდა, კომისარ.
სპილენძი და რკინა.
მიშველე როგორმე
დამიდგა მაშინა.

ეშმაკი.

მახარებს, ძვირფასო,
შრომა თუ გწყურია.
მიდი იმ ფურნეში
იყიდე პურია.

მეძველე.

კეთილო კომისარ!
მწამს დამეხმარები,
მიშოვნო იქნება
დამპალი მჩვარები.

ეშმაკი.

ვეცდები, კეთილო,
გცე ძმური ნუგეში
წა, პური იყიდე
აი იმ ფურნეში.

— —

გაჰკვირდენ უზომოდ
მუნ საქმის მთხოვნელნი,
მიდიან ფურნისკენ
უსიტყვოთ ყოველნი.
იყიდეს რას ხედავს
იმათი თვალები??
პურშია ყოველი
მუნ მონათვალები.
პურშია ჩამცხვარი,
ვისაც რა სჭირია:
აგურის ნატეხი,
თუ წინდის—ჩხირია.
პურშია ვირთაგვა,
კალოშის ნაგლეჯი,
იქვეა ფილთაქვა...
სხვა ბევრი ავეჯი.
იქვეა ჩამცხვარი
სხვადასხვა მწერები,
სახვევი ქაღალდი
შავ ფანაწერები.
პურშია საბანი,
ბალიში, ლებია,
ცხენის ყბა, კბილები,
ომის კულულებია.
პურშია... მაგრამ ეჰ,
ვინ მოსთვლის ყველასა
პურში რო იპოვით
ოქვენ ნივთის ძველასა?

— —

და როცა ყველა ეს
მათ დაესურათა,
მიხვდენ პურს ეშმაკი
ურჩევდა თუ რათა!

კოლო.



არაჩვეულებრივი პროფესია.

I. ზარშან.

ყველაფერი გამოიცვლა. ყველაფერს დასდო თავისი დაღი ჩვენმა დრომ. ირგვლივ არ ხედავთ ადამიანის წინანდელ სახეს, ის მოლუშულია. ომის ქარცეცხლმა ყველაფერი დალურჯა—შავად შესცვალა.

მაგრამ არ გამოცვლილა ერთი ჩემი ნაცნობი აზნაური. იგი, როგორც წინად, ხელ გაშლილად ცხოვრობს, როგორც წინად ცნობილია ძველებური სტუმართ-მოყვარეობით, და ძველებური უმაგალითო ნადიმები შეუწყვეტელია მის ოჯახში. ახერხებს კი ყოველივე ეს მოათავსოს ჩვენი „ძველი წესის“ საზღვრებში, თუმცა ხათრი განსაკუთრებით ისეთ პირებთან აქვს, რომელთაგან „რასმე გამოელის“.

— კაცისთვის არაფერი დამიზოგებიაო—ამ-

ხმა იდუმალი



მილიუკოვი. ხმა თითქო სანატრელია...
მაგრამ ბორკილი ძნელია.

უზრუნველ ყოფნა

რუსეთში ძველი რეჟიმის დამხობის შემდეგ მოქალაქეთა მშვიდობიანი ცხოვრება საგსებით უზრუნველეოფილია. ამის დამამტკიცებლათ თქვენ ხშირად შესვდებით გულის ამაჩუეებელ სურათს, ქუჩის ეურად მოთამაშე მილიციონერებისას. გაუმარჯოს თავისუფლებას!

ბობს ის ჩვეულებრივად და მართლა არ არის ჩვენს მაზრაში ისეთი მოხელე, რომელსაც არ მიურთმევია მისგან სამახსოვროდ: თოფი, ცხენი, ან რამე „ღირსსახსენებელი“.

მაგრამ სამაგიეროდ არ არის ისეთი მოხელე, რომელიც ხათრს გაუტეხს ჩვენს კეთილ შობილ აზნაურს და ამაშია სწორედ მისი მნიშვნელობა ჩვენს მაზრაში!

თუ ვისმე ჩამოართვა პოლიციამ უმოწმობოიარაღი ან ნაქურდალი ცხენი, თუ ვინმე დააპატიმრა—ყველგან მშველელი ეს პატიოსანი პირია, ყველგან მას უპოტინებენ ხელს, ყოველი მხრით მას ეხვეწებიან ხსნას და შველას.

მაგრამ ამავე დროს ყველამ იცის, რომ „მუქთად გასჯა არ ეკადრება ასეთს ხელმწიფის სწორკაცს“. და აი—სწორედ ამაშია საიდუმლოება მისი დაულეველი ნადიმებისა, ამაშია საიდუმლოება თუ რით ასაჩუქრებს და რითაც იყოლიებს ის თავის ნებაზე მთელი მაზრის პოლიციას!

მართალია, ის მექრთამე არ არის, მაგრამ როგორც „ბიძაშვილმა—გაზრდილს“ ისე თუ ჰკადრეთ რამე, ვითარცა ჭეშმარიტი მიმდევარი ეროვნული ტრადიციებისა—უარს არ იტყვის.

„მეძღვნეს“ როგორ ეკადრება გაცუდებაო---ამბობს ის ძველებურად და იმდენად უფრო მარდად „დატრიალდება“, რამდენად უფრო „რიგიანი“ იქნება ძღვენი.

და უნდა ვსთქვათ სიმართლე, რომ მისი „დატრიალება“ არასოდეს არ ჩაივლის უნაყოფოდ!

აბა რომელი მოხელე გაუტეხს მას ხათრსა? არც ერთი! და ეს გარემოება იცავს ჩვენი პატივცემული აზნაურის ავტორიტეტს. ამ გარემოებით სარგებლობა შეადგენს მის პროფესიას. ასეთი პროფესია წარმოუდგენელია უცხოელთათვის, მაგრამ ჩვენში კი საპატიოა, და იქნება კიდევაც საპატიო—სანამ არის ქურდობა.

ჯერ კი ჩვენს პატივცემულ აზნაურსაც არ შელევიან „კარგი მეძღვნენი“. სანამ არიან მეძღვნენი—ხომ უზრუნველ-ყოფილია მის ოჯახში ძველებური პურ-ღვინო; ძველებური გულ-უხვობა! ამით კი გავლენა მაზრის მოხელეობაზე... სანამ კი აქვს გავლენა – იგი ყოველთვის მოგებულია...

თითო საჩუქარი—რომელიც მიურთმევია მისგან თითო პრისტავს—ორად და სამად ინაზღაურებს თავის საღირალს.

ეს არის არაჩვეულებრივი ქართული ანგარიში, მაგრამ მაინც ანგარიში და ზარალს არ იძლევა!

ეხლა ომიანობამ სულ მოუმართა ხელი! არ არის ისეთი მოხელე, რომლის „შვამავლად“ არ ითვლებოდეს ჩვენი პატივცემული აზნაური სხვა და სხვა საქმეებში“...

ის ეხლა მომეტებულად ხელგაშლილია: სჩანს წყაროც ამისთვის უფრო გაძლიერდა!

მასთან უნდა ვაღიაროთ, რომ ბედიც ყოველთვის მის მწყალობელია... მის თავზე ირიცხება არა ერთი ადამიანის სისხლი, მაგრამ ის ყოველთვის გამომძვრალა ისე, რომ „საქვეყნოდაც არასოდეს არ გახდომია საქმე“.

ამაზე მოწიწებით ამბობენ მისი თაყვანის მცემელნი, მხოლოდ თვით აზნაური განზე წაწევით წაილაპარაკებს ხანდახან:

— რუსის კანონი ძალიან კარგი კანონია ძმაო... რაც გინდა ჰქენი!.. თუ მოწმე არ დაგესწროს, თავისუფალი ხარ... ასეთი კანონი თავისუფლებაა ვინც კი ვარგა!..

მართლა რომ სიმპტომატიურია მისი სიტყვები!

თუ ვისმე უნდა სიავე—კანონი ამის დაბრკოლებას არ შეადგენს. მხოლოდ სიკეთე, რატომღაც არი—არ ურიგდება კანონს!..

1916 წ.

II. ᲬᲔᲚᲘ.

ამ ხანად როგორც ჩემს მიერ სოფლიდან მიღებულ წერილიდან სჩანს, ხსენებულ ვაჟბატონს „რაღაცა უფროსობაც კი მიუღია“. ალბად ის კომისარია ,ან რომელიმე კომიტეტის თავმჯდომარე. სწორედ რომ ღმერთიც იმისთვის არის და ხალხიც!

აქამომდი პრისტავების მეგობრობა ესაჭიროებოდა. თავისი მიზნის მისაღწევად, ეხლა კი თითონ არის პრისტავი; აქამომდი სხვებსაც უყოფდა თავის მოგებას ეხლა კი—არავინ ჰყავს მოცილე. აი ვის ამოასუნთქვია თავისუფლად რევოლიუციამ!

იმავე წერილში ვკითხულობ: „არავითარი ცვლილება არ მომხდარა შენი ჭირიმე... შენი ნაცნობი აზნაური რავაც იყო ისე არის ეხლაც... მისს სახლში ძველებურად შეუწყვეტელი დარბაზობა და მხიარულებაა, მხოლოდ უფრო ძლიერი, უფრო გაშმაგებული, ვიდრე წინად“...

აგრეა ბატონებო, და მაგონდება მე ეხლა ერთი ჩემი ბაასი ამ პატიოსან გვამთან. ლაპარაკი შეეხებოდა ძველს მთავრობას, მაშინ კიდევ ძლევამოსილს.

— მთავრობის წარმომადგენელთა ავტორიტეტს—ბრძანებდა ის—იცავს მექრთამეობა... თუ მოხელემ უარჰყო ქრთამი, ხალხი მისი სიუძლურით ახსნის მას... „სჩანს არაფრის გაკეთება შესძლებიაო“ იტყვიან სოფელში... ეჰვიც შეეპარებათ მისი ღირსებაში და პატივისცემაც დაეკარგებათ მისდამი...

დღეს ის თითონ არის დამცველი მთავრობის ავტორიტეტისა და როგორც სჩანს საუცხოოდ იცავს კიდევაც...

ამბობენ ერთმა კომისარმა მოხსენებაც შეიტანა, სადაც ჯერია, კომისართათვის პაგონების აუცილებელ საჭიროებაზეო.

— ამას გვიკარნახებს მოთხოვნილება ახალი მთავრობის პრესტიჟის დაცვისა!—სკვნის თურმე ავტორი. სანიძლაოს დავდებ, რომ ეს მომხსენებელი არის ჩვენი ნაცნობი აზნაური. მისთვის პაგონები სწორედ სახეიროა!

1917 წ.

თარაში.

შარადა

დადგა დრო სანეტარო,
დრო იშვიათი,
როდესაც შარადის
საგანი დიადი,
შავ-ბნელსა ძალებსა
რისხვად მოევლინა,
მათ ნაშენ-საკნებში
მათვე მისცა ბინა.

—

ვერ ნახავთ თქვენ ისეთს
სულიერს არსებას,
რომ ის მას პირველი
უთუოდ არ ებას.
მისგან მთელ ორგანიზმს
ეძლევა ტონია,
(ამას ვერ უარყოფს
ვერავინ მგონია).
თანამდებობასაც
ჰქვია ეს სახელი,
ვართ ქალაქებშია
ჩვენ მათი მნახველი.

—

ხალხისგან მეორით
აღჭურვილები
არიან ეს მისი
„ღვიძლი“ შვილები.
იმ მიზნით, რომ იმათ
ხალხზევე იზრუნონ
და ჭირში იმისგან
პირი არ იბრუნონ.
მაგრამ ცხოვრებაში
სულ უკუღმა ხდება,
ხალხისთვის მათგანი
არავინ სწუხდება.

—

ნიკოსაც ჰქონდა **ის**
შემოუფარგლავად,
რითაც მან რუსეთი
აქცია საფლავად.
მაგრამ მადლობა ღმერთს,
მას ბოლო მოეღო,
თვის დაგებულ ანკესს
თვითვე წამოეგო.
ამ ორ სიტყვების
შესაკავშირებლად
ერთ თანხმოვან ასოს
გავიმეტებთ მსხვერპლად.

—

ჩვენ თუ გადავხედავთ
ჩვენ მეზობელ ერებს,
ერთი იმათგანი
აქ ჩვენ შეგვაჩერებს.
ჩვენს „მამულიშვილებს“
ეკლათ უჩანსთ თვალში,
(ექსორს უპირებენ
ახლო მომავალში).

ამ ერის სახელს ჩვენ
ვსწერავთ სამი მარცვლით
და თუ მას სულ წინა
ანბანს ჩამოვაცლით,
ამ ანბნით გადავსწყვეტთ
შარადის კითხვასა,
შევაერთებთ რა მით
იმ ორსა სიტყვასა.

კახი.

თხოვნა

(ამიერ-კავკასიის რკინის გზათა მთავარ სახელოსნოს მუშებისადმი, ამავე სახელოსნოს ყოფილ უფროსის სურეინისა)

მუშებო! თქვენ არა გითქვამთ რა იმ „მობილიზაციონი“ ფულის შესახებ, რომელიც მე ნაღების მოსახდელათ „უპრავლენიაში“ სრულ წელიწადს მქონდა შეჩერებული და შვიდას მანეთზე კი “ჟეშტი“ მომაბით სახელოსნოდან.

მუშებო! თუ მე თქვენ ერთხელ გაწყენიეთ, სამაგიეროთ 1905 წლიდან სულ თქვენ სასიამოვნო საქმეებს ვშვებოდი, გიწყობდით ისეთ შორეულ ექსკურსიებს, როგორიც არის ციმბირი; იქ მოგზაურობას ასი თუმანი არ ყოფნის და მე კი ხაზინის ხარჯით წელიწადში ასობით ვგზავნიდი მუშებს. მარტო ეს სიკეთე დაჰფარავს ზევით ნათქვამ პატარა ცოდვას?!

მუშებო! ნუ დაივიწყებთ პურ-მარილს, ნუ დაივიწყებთ თქვენ მიერ ჩემთან მოტანილ ინდაურებს, ქათმებს, ბატებს და იმერულ ხაჭაპურებს! მოიგონეთ თავისუფლების პირველი დღეები: რა გულიანათ გართმევდით ხელს. როგორ ახლოს ვიდექი მარსელიოზის მოსიმღერეებთან, რამოდენა წითელა ბანტი მეკერა გულზე, მოიგონეთ ყოველივე ეს დარწმუნდით ჩემს ერთგულობაში და მიმიღეთ ამხანაგათ.

პატივისცემით ყოფილიუფროსი სურეინი.

ძამია.

სადღეისო კუპლეტები

მეფეს და მის დამქაშებს
ხალხი ფეხზე ეკიდა.
მას უგებდა მახესა,
თვითონ ჩამოეკიდა.
ეს კი მათთვის ძნელია,
დღესავით ნათელია.
უჰ, ერთობის ჭირიმე,
ხალხის გამომხსნელია!
აზნაურ-მემამულეს
მიწა ჩამოერთმევა,
მოქალაქეთ ჩარიცხვენ,
წოდებაც აერთმევა.
ეს კი მათთვის ძნელია, და სხ.
მღვდლები გააცალკევეს
და დაუდვეს საზღვარი:
ხალხში ვისაც სჭირდება
მათ აძლიონ ქანქარი.
ეს კი მათთვის ძნელია, და სხ.
მთავრობაძის ხალხს შორის
აღარ სუფევს კედელი...
სთხოვენ იყვენ მოკეთე
საქმის გამკეთებელი.
ეს კი მათთვის ძნელია, და სხ.
ვაჭრებს გული წაუხდა,
არ ყოფნისთ მოსაგები,
სადაც ხარობს კავშირი,
იქ ნახეს წასაგები.
ეს კი მათთვის ძნელია,
დღესავით ნათელია.
ეჰ, ერთობის ჭირიმე,
ხალხის გამომხსნელია.

კირკა.



პარტიული იმიტაცია

ჩემდა სასახელოთ უნდა ითქვას, რომ მე ძალიან მიყვარს ჟურნალ-გაზეთების კითხვა, და თუმცა ყოველ პარტიის გარეშე ვდგავარ, მარა მაინც რაღაც ინსტიკტიურათ მახალისებს ჩვენში პარტიების ზრდა-განვითარება. ამას წინეთ ის იყო გადავიკითხე ბ-ნ ივანე გომართლის წერილი ტერიტორიალურ ავტონომიის შესახებ, რომ უეცრად ჩემს თვალს უზარმაზარი ასოებით დაწერილი სტრიქონები მოხვდა გაზეთ „სახალხო ფურცელზე". მე ცნობის მოყვარეობით მივსწვდი გაზეთს და წამსვე ამოვიკითხე შემდეგი:—„ჩოხატაურის სოციალისტ-ფედერალისტთა—სარევოლიუციო პარტიაში ჩაწერა სწარმოებს შემდეგ პირებთანო - ჩემი სიხარული საზღვარს გადასცდა, როდესაც იქ წავიკითხე: „1) ექიმ არევ—თან. 2). კ. ბერ—ან, და ვ—ღამ—ან—საკუთარ ბინაზეო". მე სიხარულის ტალღებში შევტოპე, ვინაიდან არ მეგონა, თუ ასეთის ელვის სისწრაფით მოედებოდა ეს მცნება ჩვენს დაბას. მე მიყვარს ბ-ნი ექიმი არა მარტო იმიტომ, რომ ის ფედერალისტია, არამედ იმიტომ, რომ მან ზეპირათ იცის აპერაცია (თუმცა არ უყვარს ტანცი-მანცია) და მეც მისი პაციენტი ვარ. როდესაც მე ზემორე აღნიშნული სიტყვები ამოვიკითხე წამსვე გავეშურე ჩ—კენ ფედერალისტთა პარტიაში ჩასაწერათ. რაღაც ავტომატიურად სწორეთ საავათმყოფოს კარებს მივადექი და ბ-ნი ექიმი ვიკითხე. მოსამსახურემ მიპასუხა—აი აქ, ამ ოთახში ავადმყოფებს ღებულობს და საცა არის განთავისუფლდებაო. მეც გულის ფანცქალით მოველოდი მის შეხვედრას. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ მოთმინების ფიალა აივსო და კარები შევაღე.

— სალამი ბ-ნო ექიმო—შევსძახე მე.

— Съ добрымъ утромъ—მიპასუხა მან.

— თქვენ რას იტკენთ ყმაწვილო—მკითხა მან.

— არაფერი ბ-ნო, მხოლოდ ნება მიბოძეთ თქვენს პატივცემულ აპრტიაში ჩავეწერო.

— სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ჩაწერა აქ არ შეიძლება—ჩაილაპარაკა მან.

— მე, ბ-ნო ექიმო, თქვენს პარტიაში ჩაწერა მსურს.

— აჰაააა... ჩვენს პარტიაში, თქვენ ალბათ „სახალხოში" ამოიკითხავდით ჩვენს რეკლამას.

— დიახ სწორეთ იქ წავიკითხე.

— მართალია ყმაწვილო ჩვენ ფედერალისტები ვართ და დიდ ყურადღებასაც ვაქცევთ ტერიტორიალურ ავტონომიას, მარა ისეთი ძლიერი ვერ ვართ როგორც ჩვენი დასელები, მათი ლაშქარი ძლიერია და არც ძალა შეგვწევს მათ გაუმკლავდეთ.

— მართალი ბრძანებაა ბ-ნო, დასელები ძლიერია, მარა ამ უკანასკნელათ მეგონი თქვენი პარტიაც გაძლიერდა.

— ჩვენი პარტია რომ გაძლიერდა ამას ყმაწილო ისიც ამტკიცებს, რომ სახალხო მიტინგზე პატლმა ს. ძემ თავისი მისასალმებელი სიტყვა სოციალისტ-ფედერალისტის სახელით სთქვა. აი თუ გნებავთ ჩვენი პარტია: 1) მე 2) კ. ბ—ძე 3) ღ—ძე 4) ს. ბ—ძე და 5) გ. თავ—ძე. მე ვიცნობ ბ-ნო ექიმო მათ, ისინი ნამდვილი არჩილ ჯორჯაძის სატრფიალო ინტელიგენტები არიან.

— დიახ ყმაწვილო, ინტელიგენცია—ეს მთავარი მამოძრავებელი ძალა და უდიდესი მკურნალია ერის წყლულის განსაკურნათ აღმოჩენილი; ნეტავი თქვენც ინტელიგენტი იყვეთ, მაშინ თამამათ შეიძლება თქვენი ფედერალისტობა, ეხლა კი...

— ბ-ნო ექიმო, მე მინდა მართლა ვიცოდე თუ თქვენის მეთაუროზით არსებობს აქ წრე, რომელშიაც შეიძლება პარტიული მუშაობა.

— ასეთი წრე ყმაწვილო ჩვენ არ გაგვაჩნია და არც დრო გვრჩება იმდენი მუშაობისათვის; შეგიძლიათ თქვენ თანაუგრძნოთ ჩვენს პარტიას წრეს გარედაც.

— ეს ყველა ჭეშმარიტებაა ბ-ნო ექიმო, მაგრამ მე უფრო წრეებში მუშაობა მიმაჩნია სასურველათ, როგორც დასელები შვრებიან.

— აი სწორეთ ჩვენც ამიტომ აღვნიშნეთ გაზეთის ფურცლებზე, რომ გვინდოდა მათსავით მოგვეწყო, მარა ამისთვის არც მასალა და არც უნარი ჩვენ არ ამოგვაჩდა.

გმადლობ ბ-ნო ექიმო, ნახვამდის, მე ვეცდები გაინტელიგენტებას.

„გურული ბიჭი".

რა დღე დამიდგა

ძმაო ეშმაკო! რა დღე დამიდგა,
გამექცა ჩემი საცოლო ნინო!
მინდა რომ ჯავრი გადავიყარო
და ვერსად ვპოვე სვირული ღვინო.
ვისთანაც მიველ „სამიკიტნოში“,
ყველამ დამიწყო ეჭვით ყურება;
ვუთხარ: „ესდეკი“ არა ვარ-მეთქი,
მაგრამ არავის არ ეყურება.
ერთმა „ტუტუცმა“ იცი რა მითხრა?!
— ფერზე გეტყობა „ესდეკი“ ხარო,
ალბათ მცდი, თორემ მშვენივრათ ვხედავ,
შენ ღვინის მსმელათ არ ვარგიხარო.
მესმის, რომ იყო სხვათა ბანაკის,
შენ გექნებოდა ცხვირი წითელი
და ლოთიანად შემომძახებდი:
„მომეცი ღვინო, ვარ მისი მსმელი“.
მეც რაღა მეთქვა? დავიღე ხახა
და ვიარები ეგრე, ტანჯული...
ეშმაკო ეგებ მიშოვნო ღვინო
და რაც გენებოს აიღე ფული...

ხვასტუნოვი.



მოწყალეო ხელმწიფევ

ბ-ნო ეშმაკო! *)

„ანუ რასა ხედავ წვილსა, თვალსა შინა ძმისა შენისასა და დვირესა თვალსა შინა შენსა არა განიცდი. ანუ ვითარ ჰრქვა ძმასა შენსა: მაცადე და აღმოგიღო წვილი თვალსაგან შენისა: და აჰა ეგერა დვირე თვალსა შინა შენსა. ორგულო! ამოიღე პირველად დვირე თვალისაგან შენისა, და მაშინ იხილო აღმოღება წვილისა თვალისაგან ძმისა შენისა“.

სახარება მათესი თავი 7.

ბ-ნო ეშმაკო! ბავშვებს თუ შიან, ტაბლას გარეთ რა უდნა?! თქვენი მათრახის სიმწვავე, რომელმა სწორი გზის გაადმხვევმა არ იგრძნო. საბრალოთ, ზურგები ისევ დალურჯებული აქვთ. მაგრამ თუ კანტორაშიაც („განათლება“-ში) სწორე გზის გადმხვევი თოთოლან ეს კი არ ვიცოდით. აი ეური დამიგდეთ: მე ვიუკვი კანტორა „განათლება“-ში და იქ ერთს ტალინდრონსანს ვკითხე— „ეშმაკის მათრახი“ წლიურად რა ღირს მეთქი?—მგონი რვა (8) მანეთიაო“ მე ამოვიდე რვა მანეთი და იქვე მჯდომ უმაწვილ კაცს მივეცი. მანაც ერთი წლით „ეშმაკის მათრახი“ გამომიწერა: ბარათი გადმომცა, რომელიც მე მაქვს შენახული.

უთხარით ბ-ნ ტალინდრონსანს, რომ „ტუკუბუჯაში“ გამოხვეულს გაძარცვა (?) კი არ უნდოდა ქოთ, არამედ უფრო გამხნევება, ნუგეშის ცემა, ათასი დარიგება, თორემ ბ-ნო, ეშმაკო, ვფიცავ ალლაჰს მე ის მანეთი (მეტი თუ ნაკლები) ისე არ მაჯავრებს, როგორც დაცინვა და ვინ იცის ჩემს იქით კიდევ ვინმე „ფარაჯიანი“ ამეტუმეოდოს როგორც მე. თუ გრუშების ინტერესი აქვს, გამოუგზავნი რა გაეწყობა, „ეველაფერი გაძვირდა“, ფასები ეოველთვის ხიხრს ზევით ჰყიდიან ხორცს.

აგრეთვე ვსთხოვ კანტორა „განათლებას“ გამოგიგზავნოს ეშმაკის მათრახის ორი ნომერი №№ 10 და 12, რომელიც მაშინ კანტორაში არ იყო რადგანაც აგენტებთან გაეგზავნა და არ დაბრუნებულიეო.

პატივისცემით **ლადო ფიცხელაური.**

აგრეთვე ვთხოვ ჩემს მისამართზე დააწერონ ფიცხელაური და არა ფირცხალავა.

ლ. ფ.

*) პატივი მეცით და ეს წერილი სულ წაიკითხეთ. ლ. ფ.

ფოსტა

„ეშმაკის ჯორს“. თქვენი „სცენისათვის“ ჯორი მაღალი საფეხურია.

ლვითრის პირელს. თქვენს ლექსებშიც გაუგებრობაა.

„კვლავ გათენდა დღე მშვენიერების,
ბულბულმა თვისი ჰანგები სჭექა,
და წამოისხა დამაშვრალთაა
სიმართლის დროშა, მბრწყინავი თექა“.

გამოსარკვევია ვინ წამოისხა „თექა“ ბულბულმა, თუ სხვამ ვინმემ.

ალო-უნურს. არ დაიბეჭდება.

ისელის. თქვენი წერილი „სახარებისა საკითხავი“, მართლაც რომ საკითხავია, რადგან ავტორის ვინაობა არ აწერია.

შალას. სცენა არ დაიბეჭდება.

გრიმს. თქვენ იწერებით: „შარადისებურს“ ვარქმევ ამ წერილს იმ მოსაზრებით, რომ ყველა საჭირო სიტყვები ნათლათ არის ნაჩვენები, რადგან ამ მომენტის დროს შარადის ახსნისთვის დროს კარგვა წყლის ნაყვა იქნება“.

ჩვენის აზრით მოსაწონი არ არის არც „მელნის ნაყვა“ ასეთ შარადისებურის წერაზე.

კოდალას. თანამოზიარე ვართ თქვენი მწუხარებისა, ვინაიდან გარდაიცვალა ორივე თქვენი ლექსი. დავასაფლავეთ „სარედაქციო პანთეონში“.

ე—კი.

ყოველ-კვირეული იუმორისტიული გამოცემა

ეშმაკის მათრა

მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის

ჟურნალის ფასი: 12 თვით 7 მ. —
6 თვით 4 მ. — კ.
3 თვით 2 მ. — კ.
1 თვით — 70 კ.

ეშმაკის მათრაში დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესებიდა სხვა.

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ეშმაკი, ხოლო გამოცემის საქმეს კანტორა „განათლება“

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მასალები და ფული ამ ადრესზე: გამოიგზავნონ Тифлисъ, С. Р. Таварткиладзе, Ольгинская, 6 поч. ящ. № 96.

ერთი მათგანი



ეგ სურათი ტრაღიკულათ გარდაიცვალა გასული წლის მიწურულში. ჩვენ ის უწარწეროთ გავგზავნეთ ბრძოლის ველზე და არ დავმალავთ, განზრახვა გვქონდა ამ მანევრით შეცდომაში შეგვეყვანა ჩვენი მოწინააღმდეგე. მაგრამ ამაოდ. ცენზორმა პირველ შეხედვისათანავე იცნო ცხვრის ტყავში გახვეული მგელი, ჩაჰკრა მას და უსულოდ დასცა ბრძოლის ველზე. (აქა მკითხველი უნდა ადგეს და ადგომით პატივი სცეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემულს.)

ის მოკვდა ვერაგი მტრის მახვილით, მაგრამ არ მომკვდარა ის იდეა, რომელსაც განსვენებული ემხრობოდა. აბოზოქრებულმა რევოლიუციამ დაამხო და სხ. და სხ.

რედაქტორი ეშმაკი. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის ბულვარი. № 1.